ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 226

15 ივნისი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-6 კვარტლის, კორპუსი №9-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.030.010.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-6 კვარტლის კორპუს №9-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.030.010.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 2 ივნისის №21.700.777 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქი თბილისი, ვარკეთილის დასახლება, მასივი 3, მე-6 კვარტლის, კორპუს №9-ში, მეორე სართულზე მდებარე, 34.45 კვ.მ ფართის ბინა №12-ის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.030.010.01.012) პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე თეონა დვალიშვილისთვის (პ/ნ 17001026927) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე